


სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის
მ/შ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

 კახაბერ კირტავა
„16“ 12 „2016 წელი

ეგზ. N1

ქედის მუნიციპალიტეტი

ფინანსური აუდიტის ანგარიში № 79/36

2015 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

ზოგადი ინფორმაცია.....	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	5
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	7
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა.....	7
სახელმწიფო შესყიდვები.....	7
შპს -ების დაფინანსება	11
დასუფთავების მოსაკრებელი	12
ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა.....	12
ანგარიშგების ფორმები	15

ზოგადი ინფორმაცია

ქედის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები. თვითმმართველი ერთეულის ფართობი 452 კვ.კმ-ია, მოსახლეობის რაოდენობა - 21 ათასი. ქედის მუნიციპალიტეტში შედის 64 დასახლებული პუნქტი. ადმინისტრაციული ცენტრი დაბა ქედაა.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებას მიეკუთვნება:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების მართვა;
- საჯარო ადგილების დასუფთავება, ნარჩენების მართვა, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა, წყალმომარაგებისა და წყალინარების უზრუნველყოფა;
- სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა;
- კულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირება და სხვა.

ქედას აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი და შემოსავლების დამოუკიდებელი წყაროები. გარდა აღნიშნულისა, ის გრანტების სახით დაფინანსებას ღებულობს როგორც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
შემოსულობები	9838963	7444037	98660119
გადასახდელები	9850211	7967645	8049400

ცხრილი 1. ქედის მუნიციპალიტეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ 2014-2016 წწ.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა ქედის მუნიციპალიტეტის ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების ბალანსებს, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ქედის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, ასევე საქმიანობისა და ფინანსური სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის

მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი მუნიციპალიტეტსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს, ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. აქტივების მართვა

გარემოება 1.1. ქედის მუნიციპალიტეტის საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების შესაბამისად, 2015 წელს მუნიციპალიტეტს შეძენილი აქვს 253 6715 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები, რომელთა ღირებულებაშიც არ არის გათვალისწინებული 56 532 ლარის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულება¹.

გარემოება 1.2. ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსში არ არის აღრიცხული მიწის ის ნაკვეთები, რომელზედაც დამაგრებულია გამგეობის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები².

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 27-ე მუხლის მე-14 პუნქტი.

გავლენა: ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსში ძირითადი აქტივების ღირებულება შემცირებულია 56 532 ლარით და ამავე დროს ბალანსში, არაწარმოებული აქტივის სახით არ არის აღრიცხული მიწა.

2. ძირითადი აქტივების ცვეთა

გარემოება 2.1 ქედის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბალანსზე რიცხულ 18 480 ლარის ღირებულების ძირითად აქტივებზე, არ არის დარიცხული 2 623 ლარის ცვეთა.

N	დასახელება	ძირითადი აქტივების ღირებულება რომლებზედაც არ არის დარიცხული ცვეთა	დასარიცხი ცვეთის თანხა
1	ააიპ „ქედის სახელოვნებო სკოლა“	9402	1334
2	ააიპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“	9078	1289
	ჯამი	18480	2623

ცხრილი 2. ცვეთის დარიცხვის შესახებ

გავლენა: ქედის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების მიერ, ძირითადი აქტივების ნარჩენი ღირებულება 2 623 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

3. წმინდა ღირებულება

გარემოება 3.1 ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლის“ 2015 წლის წმინდა ღირებულების შესახებ ბალანსის დანართ ფორმა N3-ში, ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების სახით ფიქსირდება 132 871 ლარი, მაშინ როცა, სახაზინო სამსახურის მონაცემებით, ბიუჯეტიდან გაცემულია 117 245 ლარი, ანუ 15 626 ლარით ნაკლები.

გავლენა: ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლის“ 2015 წლის წმინდა ღირებულება 15 626 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

4. სხვა ხარჯები

გარემოება 4.1. ქედის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან, ხარჯების მუხლით გამოყოფილი 971 045 ლარიდან, 46 920 ლარი გახარჯულია არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

N	ორგანიზაციის დასახელება	ბიუჯეტიდან ხარჯების მუხლით გამოყოფილი თანხა	ბალანსში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით აღრიცხული თანხა
1	ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლა“	117245	5900
2	ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	853800	41020
	ჯამი	971045	46920

ცხრილი 3. ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლას“ და ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებისათვის“ ხარჯების მუხლით გამოყოფილი სახსრების შესახებ

გავლენა: ქედის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების მიერ, ხარჯების მუხლი 46 920 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი და ამავე თანხით შემცირებულია არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გახარჯული თანხები.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ქედის მუნიციპალიტეტისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღით.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

• სახელმწიფო შესყიდვები

➤ 2015 წლის 14 მარტს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი³ დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩის დასასვენებელი პარკის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით. სატენდერო დოკუმენტაციის 3.3 პუნქტის მოთხოვნის მიხედვით, „ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს, 2012 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში, შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის სირთულისა და შინაარსის სამუშაოები (შენობა-ნაგებობების მშენებლობა, რემონტი,

³ SPA 150006449

რეკონსტრუქცია, სკვერების, პარკების მოწყობა), საერთო ღირებულებით არანაკლებ 300 000 ლარის ოდენობით“.

სატენდერო კომისიამ⁴ განიხილა პრეტენდენტის შპს „ბილდ მენეჯმენტის“ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და არასაკმარისი გამოცდილებისა და ხარჯთაღრიცხვაში ზედნადები ხარჯების არასწორად მითითების გამო მოახდინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა ფიქსირდება დაბა ქედაში და სოფელ ქედაში, მოსახლეობის საკანალიზაციო არხების საკანალიზაციო ქსელთან მიერთების სამუშაოების შესყიდვისას⁵, როცა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იქნა წყლისა და საკანალიზაციო მილსადენების მშენებლობის ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშაოთა შესრულების გამოცდილება არანაკლებ 50000 ლარის ოდენობით. გამარჯვებულ პრეტენდენტს აღნიშნულ სფეროში გამოცდილების დასადასტურებლად ატვირთული აქვს ხიჭაურის ცენტრის კეთილმოწყობის ხარჯთაღრიცხვა, რომლის შესაბამისად, წყლისა და საკანალიზაციო მილსადენების მშენებლობის მსგავსი სამუშაოების ღირებულება მხოლოდ 21461 ლარს შეადგენს. მიუხედავად აღნიშნულისა, სატენდერო კომისიას⁶ არ უმსჯელია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ და მიღებული გადაწყვეტილებით ის ცნობილი იქნა გამარჯვებულად. აღსანიშნავია, რომ შპს „ბილდ მენეჯმენტის“ მიერ, სატენდერო კომისიის მიღებული გადაწყვეტილება დისკვალიფიკაციის შესახებ, გასაჩივრებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების დავების განხილვის საბჭოში, რომელმაც 2015 წლის 24 აპრილს მიღებული გადაწყვეტილებით საჩივარი სრულად დააკმაყოფილა.

➤ ცალკეულ შემთხვევებში, ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენისას, სრულყოფილად არ ხდებოდა სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტისათვის წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინება და დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მათი დისკვალიფიკაცია. კერძოდ, პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ სატენდერო განცხადებით განსაზღვრული მოთხოვნა, ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში, სისტემაში ატვირთული დოკუმენტაციით სრულად არ დასტურდება, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, კომისიას ოქმში არ უმსჯელია რაიმე მოთხოვნის დარღვევაზე და პრეტენდენტი ცხადდებოდა გამარჯვებულად.

N	შესყიდვის დასახელება	SPA -ნომერი	გამარჯვებული პრეტენდენტი	სახელშეკრულებო თანხა
1	სპორტული ნაგებობების მშენებლობა	150026471	შპს „მშენებელი 5“	39800
2	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების სამუშაოების შესყიდვა	150028124	შპს „ვარაზა“	15999
3	დოლოგნის ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა	150020484	ი/მ „ავთანდილ სანიკიძე“	10849
4	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების	150017712	ი/მ „ავთანდილ	50200

⁴ სატენდერო კომისიის ოქმი N5. 2.04.2015.

⁵ SPA 150026627

⁶ სატენდერო კომისიის ოქმი N2. 08.10.2015

სამუშაოების შესყიდვა		სანიკიძე		
5	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების სამუშაოების შესყიდვა	150018339	შპს „ნეკ სტაილ ბილდინგი“	50745

ცხრილი 4. შესყიდვების ჩამონათვალი, სადაც არ არის შესრულებული სატენდერო განცხადებით განსაზღვრული მოთხოვნები

➤ აუდიტის პერიოდში დაფიქსირებულია 10 შემთხვევა, როცა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვაში განხორციელებულია ცვლილებები, რომელთა შესაბამისადაც შეიცვალა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობები, ამოღებული და დამატებული იქნა ახალი სამუშაოები, რომელთა ღირებულებებიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასების შესაბამისად განისაზღვრებოდა. ამასთან, ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში, არ ხდებოდა ცვლილებების შეთანხმება პროექტის ავტორთან.⁷

N	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	მიმწოდებელი	ხელშეკრულების ღირებულება	ათასი ლარი
				შენიშვნა
1	N94. 22.04.2015	შპს „ნეკ სტაილ ბილდინგი“	30400	არ არის შეთანხმება
2	N77. 05.05.2015	შპს „პირამიდა 555“	102218	არ არის შეთანხმება
3	N29.16.03.2015	შპს „დეგო“	48000	არ არის შეთანხმება
4	N39. 06.04.2015	შპს „პირამიდა 555“	94228	არ არის შეთანხმება
5	N147.20.10.2015	სპს „გიო 2014“	8428	არ არის შეთანხმება
6	N107.21.08.2015	ი/მ „ავთანდილ სანიკიძე“	10849	არ არის შეთანხმება
7	N33.23.03.2015	შპს „ალიგატორი 1“	56890	არ არის შეთანხმება
8	N103. 04.08.2015	შპს „პირამიდა 555“	59947	არ არის შეთანხმება
9	N64.16.06.2015	შპს „ლადა“	241222	არ არის შეთანხმება
10	N131. 07.10.2015	შპს „ბილდინგ მენეჯმენტი“	59998	არ არის შეთანხმება

ცხრილი 5. პროექტის ავტორთან შეთანხმების გარეშე ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

➤ აუდიტის პერიოდში, სატენდერო განცხადებითა და გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხის გამოყენება შესაძლებელი იყო შემსყიდველთან შეთანხმებით, შესაბამისი მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, მხოლოდ სამუშაოს შესრულების პროცესში დამატებით ჩასატარებელი ახალი სახეობის სამუშაოების შესასრულებლად. აუდიტის მიმდინარეობისას, ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში, ვერ იქნა წარმოდგენილი გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესაბამისი მოტივირებული დასკვნა. ამასთან, ამ შემთხვევებში სამუშაოები იგივე სახისაა, რაც ხარჯთაღრიცხვით იყო გათვალისწინებული.

⁷ შესრულებულია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით დამტკიცებული “შშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და საწინააღმდეგო პირობები” 64-ე მუხლის მოთხოვნები.

N	ხელშეკრულების ნომერი		გაუთვალისწინებელი	
	და თარიღი	მიმწოდებელი	სამუშაოების ღირებულება	შენიშვნა
1	N152. 27.10.2015	ი/მ „რეზო ხალვაში“	469	წინასწარი შეთანხმების გარეშე
2	N58. 01.06.2015	შპს „უნივერსალ ჯორჯია 2008“	1336	წინასწარი შეთანხმების გარეშე
3	N182. 10.12.2015	ი/მ „ავთანდილ სანიკიძე“	244	წინასწარი შეთანხმების გარეშე
4	N59. 03.06.2015	შპს „მარდი“	529	წინასწარი შეთანხმების გარეშე
5	N146. 20.10.2015	ი/მ „ავთანდილ სანიკიძე“	664	წინასწარი შეთანხმების გარეშე
6	N145. 20.10.2015	შპს „გიო 2014“	446	წინასწარი შეთანხმების გარეშე
	ჯამი		3688	

ცხრილი 6. წინასწარი შეთანხმების გარეშე გაუთვალისწინებელი ხარჯების გამოყენების შესახებ

➤ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის, „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას, ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტით, გათვალისწინებული ფაქტობრივი დანახარჯების წარმოდგენლობის პირობებში, 2015 წელს მიმწოდებელზე, 15 შემთხვევაში გადახდილია 241 712 ლარი.

N	ობიექტის დასახელება	მიმწოდებელი	ხელშეკრულება		გადახდილია
			ნომერი	თარიღი	
1	სოფელ ახოს საზაფხულო იალაღის გარე ელექტრომომარაგების 10კვ. ძაბვის ეგხ-ის მშენებლობის მე-2 ეტაპის სამუშაოების შესყიდვა	შპს „პირამიდა 555“	28	16.03.2015	31392
2	სოფელ ინაშარიძეებში 4 ცალი მგზავრთა მოსაცდელის და სოფელ გარეტყეში წყლის სარეზერვო აუზის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა	ი/მ „რეზო ხალვაში“	80	10.07.2015	13314
3	დანდალოს თემში სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვა	შპს „კავიანი 2015“	84	01.10.2015	10134
4	დაბა ქედის თემში სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვა	შპს „გიო 2014“	87	17.07.2015	12677
5	მახუნცეთის სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვა	ი/მ „მურმან საფარიძე“	88	17.07.2015	11352
6	სოფ. კოკოტაურში სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვა	ი/მ „რამაზ გოგუაძე“	89	17.07.2015	8040
7	დაბა ქედაში რუსთაველის ქუჩის დასასვენებელი პარკის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის სამუშაოების შესყიდვა	შპს „ბილდინგ მენეჯმენტი“	112	16.09.2015	17997
8	სოფელ გეგელიძეებში საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	შპს „ზადუ“	163	05.11.2015	5099
9	2015 წლის 11-15 ნოემბერს განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენა	შპს „გარანტია 5“	190	16.12.2015	21757
10	2015 წლის 11-15 ნოემბერს განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენა	შპს „ნევ სტაილ ბილდინგი“	191	16.12.2015	37709
11	2015 წლის 11-15 ნოემბერს განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენა	შპს „ჯიჯი“	192	16.12.2015	6513
12	2015 წლის 11-15 ნოემბერს განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული	ი/მ „პაატა ზაქარაძე“	193	16.12.2015	9218

ობიექტების აღდგენა							
13	2015 წლის 11-15 ნოემბერს განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენა	შპს „MMT“	194	16.12.2015	20787		
14	2015 წლის 11-15 ნოემბერს განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენა	შპს „ზადუ“	195	17.12.2015	17511		
15	2015 წლის 11-15 ნოემბერს განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენა	ი/მ „ჯაბა ბერიძე“	196	17.12.2015	18212		
ჯამი					241712		

ცხრილი 7. ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენლობის პირობებში ანაზღაურებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულების შესახებ

• შპს -ბის დაფინანსება

➤ ქედის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, შპს „ქედის წყალკანალი“ და შპს „ქედის კომუნალურსერვისი“ დაფინანსებულია შესაბამისად, 152 740 ლარისა და 240 998 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხების დაფინანსება განხორციელებულია „სუბსიდიისა“ და „სხვა ხარჯების მუხლიდან“

დასახელება	გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	შესრულების %
შპს „ქედის წყალკანალი“	164800	152740	12060	92,7%
ხარჯები	164800	152740	12060	92,7%
სუბსიდიები	164800	152740	12060	92,7%
შპს „ქედის კომუნალსერვისი“	255800	240998	14802	94,2%
ხარჯები	255800	240998	14802	94,2%
სუბსიდიები	240800	230998	9802	95,9%
სხვა ხარჯები	15000	10000	5000	66,6%

ცხრილი 8. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შპს-ების დაფინანსების შესახებ

გასაცემი სუბსიდიის გაანგარიშება, მისი მოთხოვნის დროს, მუნიციპალიტეტის მიერ არ განხორციელებულა. ბიუჯეტში შპს-ების დაფინანსება განისაზღვრებოდა მათ მიერ წარმოდგენილი ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციისა და საშტატო ნუსხების მიხედვით. არ არის წარმოდგენილი სუბსიდიით განსახორციელებელი პროგრამების ფარგლებში შესასრულებელი ღონისძიებები, არ არის დასაბუთებული მიღებული სუბსიდიით რა სამუშაოები უნდა შეესრულებინათ, რა პერიოდულობითა და მოცულობით. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს შპს-ებისათვის არ მოუთხოვია ინფორმაცია გაწეული საქმიანობის, მიღებული სუბსიდიის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისა და პროგრამების შესრულების შესახებ.

• დასუფთავების მოსაკრებელი

➤ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, საანგარიშო პერიოდში, ბიუჯეტის შესაბამის შემოსავლებში ჩარიცხულია 25 473 ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 101,9 პროცენტია. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი შემოღებულია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით⁸, რომლის შესაბამისადაც მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური ახდენს ხელშეკრულებების გაფორმებას და მასვე ეკისრება აღნიშნული მოსაკრებლის ამოღების პასუხისმგებლობა. მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2015 წელს დასუფთავების მოსაკრებლის სახით გადახდას დაექვემდებარა 54 992 ლარი, საიდანაც 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადასახდელია 29 519 ლარი. აღსანიშნავია, რომ არ არის შემუშავებული ცალკეული გადამხდელის მიერ მოსაკრებლის გადახდისა და დავალიანების აღრიცხვის მექანიზმი.

ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა

შემოსულობები

ქედის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების (3 ცვლილება) შედეგად, 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები 8 004 292 ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებმა 7 444 037 ლარი შეადგინა, რაც საბიუჯეტო გეგმით განსაზღვრული მოცულობის 93 პროცენტს შეადგენს, ანუ გეგმის შესრულებას 560 255 ლარი დააკლდა.

დასახელება	2015 წლის გეგმა	2015 წლის საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
შემოსავლები	7994292	7441652	552640	93,1%
არაფინანსური აქტივების კლება	10000	2385	7614	23,9%
ჯამი	8004292	7444037	560255	93,0%

ცხრილი N9. 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ

შემოსავლების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

ქედის მუნიციპალიტეტის სახაზინო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2015 წელს შემოსავლების გეგმური მაჩვენებელი - 7 994 292 ლარი,

⁸ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N39. 20.03.2007

შესრულებულია 93,1%-ით, ანუ გეგმის შესრულებას დააკლდა 552 640 ლარი. მიღებული შემოსულობებიდან 7 042 869 ლარი, ანუ მთლიანი შემოსულობების 94,6% გრანტებზე მოდის.

დასახელება	2015 წლის გეგმა	2015 წლის საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
გადასახადები	250000	93318	156682	37,3%
ქონების გადასახადი	250000	93318	156682	37,3%
გრანტები	7331192	7042869	288323	96,1%
სხვა შემოსავლები	413100	305465	107635	73,9%
სულ	7994292	7441652	552640	93,1%

ცხრილი N10. 2015 წლის ბიუჯეტის შემოსავლების შესახებ

გრანტები

2015 წლის ბიუჯეტში, გრანტების სახით ჩარიცხულია 7 042 869 ლარი, რაც გეგმის 96,1 პროცენტია, ანუ გეგმის შესრულებას დააკლდა 288 323 ლარი.

N	დასახელება	გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
1	გათანაბრებითი ტრანსფერი	3661000	3661000	0	100%
2	აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტის ტრანსფერი	2752524	2498141	254383	90,8%
3	სპეციალური ტრანსფერი	883768	883728	40	99,9%
4	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	33900	0	33900	0
	ჯამი	7331192	7042869	288323	96,1%

ცხრილი N11. 2015 წელს გრანტების სახით მიღებული შემოსავლების შესახებ

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების მუხლით მობილიზებული თანხები - 305 465 ლარი, 2015 წლის საპროგნოზო მაჩვენებლით განსაზღვრული მოცულობის 73,9 პროცენტია.

არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების (მიწა) კლების მუხლით, მიღებულია 2 386 ლარი, რაც 2015 წლის ბიუჯეტის 13,9% -ია.

გადასახდელები

2015 წლის გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი 8 675 292 ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდში, გადასახდელების სახით გადახდილი თანხების ფაქტიურმა მოცულობამ 7 967 644 ლარი შეადგინა, ანუ საპროგნოზო მაჩვენებელი 91,8 პროცენტით შესრულდა და გეგმის შესრულებას 707 648 ლარი დააკლდა.

დასახელება	გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
ხარჯები	5076370	4749024	327346	93,6%
შრომის ანაზღაურება	1200423	1195666	4757	99,6%
საქონელი და მომსახურება	558544	502918	55626	90,0%
სუბსიდიები	2520030	2363264	156766	93,8%
გრანტები	296941	251258	45683	84,6%
სოციალური უზრუნველყოფა	295200	290861	4339	98,5%
სხვა ხარჯები	205232	145057	60175	70,7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	3592272	3212620	379652	89,4%
ვალდებულებების კლება	6650	6000	650	90,2%
ჯამი	8675292	7967644	707648	91,8%

ცხრილი 12. ქედის მუნიციპალიტეტის 2015 წლის გადსახდელების შესახებ

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

გოჩა შარაბიძე /წამყვანი აუდიტორი/



ზვიად ვარშალომიძე /აუდიტორი/



მიხეილ დიასამიძე /აუდიტორ ასისტენტი/



16.12.2016 წელი

ანგარიშების ფორმები

ქედის მუნიციპალიტეტის ბაღანსი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისა თვის	ნაშთი წლის (კვარტალის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
240	მოთხოვნები ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1430		
290	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		

300	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450	1350	1350
310	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
320	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
330	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	17416	548173
340	გრძელვადიანი სესხები	1510		
350	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520		
360	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1530		
II. არაფინანსური აქტივები				
370	სტრატეგიული მარაგები	1610		
380	სხვა მატერიალური მარაგები	1620	280351	277628
390	შენობა-ნაგებობები	2110	5470041	7683509
400	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	523492	402271
410	სხვა ძირითადი აქტივები	2130	18363	18363
420	დაუმთავრებელი მშენებლობა	2140	989210	249511
430	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	170549	242181
440	ფასეულობები	2300		
450	არაწარმოებული აქტივები	2400	5159	5159
ბალანსი			7475931	9428145

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისა თვის	ნაშთი წლის (კვარტალის) ბოლოს
I. ვალდებულებები				
460	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
470	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	478	50002
480	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
490	ვალდებულებები ბარტერით	3230		
500	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
510	გადასახდელი დღგ	3242		
520	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
530	სხვა გადასახდელები	3244		
540	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
550	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
560	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
570	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
580	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
590	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
600	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
610	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
620	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
630	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
640	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
650	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
660	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
670	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280	3631	3894
680	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300		
II. კაპიტალი				
690	წმინდა ღირებულება	5100	7471822	9374249
700	საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
710	გაუნაწილებელი მოგება	5220		
720	დაუფარავი ზარალი *	5230		
ბალანსი			7475931	9428145
III. საცნობარო მუხლები				
730	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01		

740	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
750	გადახდის უუნარო დებიტორებზე ჩამოწერილი დავალიანება	03		
760	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04		
770	პირობითი მოთხოვნები	05		
780	პირობითი ვალდებულებები	06		
790	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
800	ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	08		
810	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09		
820	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10		

ბალანსის დანართი ფორმა N2

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებულ ი გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	2259399	2259399	2072502	2072502	2072502	2292647	220145
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	1200423	1200423	1195666	1195666	1195666	1195666	0
030	1.1.1 ხელფასები	211	1200423	1200423	1195666	1195666	1195666	1195666	0
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	1200423	1200423	1195666	1195666	1195666	1195666	0
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	949933	949933	945176	945176	945176	945176	0
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							0
070	1.1.1.1.3 პრემია	21113	237290	237290	237290	237290	237290	237290	0
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114							0
090	1.1.1.1.5 ჰონორარი	21115							0
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116	13200	13200	13200	13200	13200	13200	0
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							0
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212	0	0	0	0	0	0	0
130	1.1.2.1. ფაქტიურად განხორციელებული სოციალური შენატანები	2121							0
140	1.1.2.2. პირობითად განხორციელებული სოციალური შენატანები	2122							0
150	1.2 საქონელი და მომსახურება	22	558544	558544	502918	502918	502918	502918	0
160	1.2.1.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221	59790	59790	58135	58135	58135	58135	0
170	1.2.1.2 მივლინებები	222	19600	19600	17616	17616	17616	17616	0
180	1.2.1.3 ოფისის ხარჯები	223	142863	142863	132882	132882	132882	132882	0
190	1.2.1.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	11000	11000	9804	9804	9804	9804	0
200	1.2.1.5 კვების ხარჯები	225							0
210	1.2.1.6 სამედიცინო ხარჯები	226							0

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

220	1.2.1.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227							0
230	1.2.1.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი	228	89794	89794	78996	78996	78996	78996	0
240	1.2.1.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	229							0
250	1.2.1.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	235497	235497	205485	205485	205485	205485	0
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23						220145	220145
270	1.4 პროცენტი	24	0	0	0	0	0	0	0
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241	0	0	0	0	0	0	0
290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411							0
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412							0
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413							0
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414							0
330	1.4.2 საშინაო ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	242							0
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე	243							0
350	1.5 სუბსიდიები	25							0
360	1.6 გრანტები	26	0	0	0	0	0	0	0
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261	0	0	0	0	0	0	0
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611							0
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							0
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262	0	0	0	0	0	0	0
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621							0
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622							0
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263	0	0	0	0	0	0	0
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631							0
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632							0
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	295200	295200	290861	290861	290861	290861	0
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271	0	0	0	0	0	0	0
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711							0
490	1.7.1.2, სასაქონლო ფორმით	2712							0

500	1.7.2 სოციალური დახმარება	272	295200	295200	290861	290861	290861	290861	0
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721	295200	295200	290861	290861	290861	290861	0
520	1.7.2.2. სასაქონლო ფორმით	2722							0
530	1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273	0	0	0	0	0	0	0

ბალანსის დანართი ფორმა N2-2

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

სტრიქონის კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
10	1. ფინანსური აქტივები	32	0	0	0	0	0
20	1.1 საშინაო	321	0	0	0	0	0
30	1.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3212					
40	1.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3213					
50	1.1.3 სესხები	3214					
60	1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3215					
70	1.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3216					
80	1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3217					
90	1.1.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3218					
100	1.2 საგარეო	322	0	0	0	0	0
110	1.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3222					
120	1.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3223					
130	1.2.3 სესხები	3224					
140	1.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3225					
150	1.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3226					
160	1.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3227					
170	1.2.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3228					
180	1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება	323					
190	2. ვალდებულებები	33	0	0	0	0	0
200	2.1 საშინაო	331	0	0	0	0	0
210	2.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3312					
220	2.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3313					
230	2.1.3 სესხები	3314					
240	2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მზ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3315					
250	2.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3316					
260	2.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3317					

270	2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3318					
280	2.2 საგარეო	332	0	0	0	0	0
290	2.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3322					
300	2.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3323					
310	2.2.3 სესხები	3324					
320	2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3325					
330	2.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3326					
340	2.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3327					
350	2.2.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3328					

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

ბალანსის დანართი ფორმა N3

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ანგარიშის N	დებეტი	თანა	ანგარიშის N	კრედიტი	თანა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			ნაშთი წლის დასაწყისისათვის	7471821
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	1195666	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	5291122
7200	საქონელი და მომსახურება	502918	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	220145			
7310	მ. შ. ფიზიკური ცვეთა	220145	6000	შემოსავლები	0
7400	პროცენტი		6300	მ. შ. გრანტები	
7500	სუბსიდიები				
7600	გრანტები				
7700	სოციალური უზრუნველყოფა	290861			
7800	სხვა ხარჯები	1555415			
	აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	1884081		აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	2260392
1300-1400	ფინანსური აქტივები		1300-1400	ფინანსური აქტივები	
3000	ფინანსური ვალდებულებები		3000	ფინანსური ვალდებულებები	
1600-2000	არაფინანსური აქტივები	1884081	1600-2000	არაფინანსური აქტივები	2260392
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები		8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლ. საკასო შესრულებით				
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *				
	სადებეტო ბრუნვა	5649086		საკრედიტო ბრუნვა	7551514
-	სულ ჯამი	5649086	-	სულ ჯამი	15023335
-	ნაშთი პერიოდის ბოლოს	0	-	ნაშთი პერიოდის ბოლოს	9374249

* აღნიშნულ სტრიქონზე აღირიცხება სახელმწიფოს სახელით გაწეული მომსახურებებით მიღებული შემოსავლებიდან და სხვა ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

** სადებეტო ნაშთის წლის დასაწყისისათვის ემატება სადებეტო ბრუნვა

*** საკრედიტო ნაშთის წლის დასაწყისისათვის ემატება საკრედიტო ბრუნვა

ბალანსის დანართი ფორმა N4

ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

სტრიქონის კოდი	შემოსავლები	კოდი	სულ		
			გეგმით	საკასო	ფაქტიური
1	2		3	4	5
010	ნაშთი წლის დასაწყისისათვის				
020	საანგარიშო პერიოდის შემოსავლები		0	0	0
030	გრანტები				
040	სხვა შემოსავლები		0	0	0
050	ა) შემოსავლები საკუთრებიდან				
060	ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია				
070	გ) სანქციები (ჯარიმები და საურავები)				
080	დ) ნებაყოფილებითი ტრანსფერები, გრანტების გარდა				
090	ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები				
100	კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი				
110	1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	2	0	0	0
120	1.1. შრომის ანაზღაურება	21			
130	1.2. საქონელი და მომსახურება	22			
140	1.3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23			
150	1.4. პროცენტი	24			
160	1.5. სუბსიდიები	25			
170	1.6. გრანტები	26			
180	1.7. სოციალური უზრუნველყოფა	27			
190	1.8. სხვა ხარჯები	28			
200	2. არაფინანსური აქტივები	31	0	0	
210	2.1 ძირითადი აქტივები	311			
220	2.2 მატერიალური მარაგები	312			
230	2.3 ფასეულობები	313			
240	2.4 არაწარმოებული აქტივები	314			
250	3. ფინანსური აქტივები	32	0	0	
260	3.1 საშინაო	321			
270	3.2 საგარეო	322			
280	4. ვალდებულებები	33	0	0	
290	4.1 საშინაო	331			
300	4.2 საგარეო	332			
310	ბიუჯეტში გადახდილი თანხები				
320	კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი				
330	ნაშთი წლის (კვარტილის) ბოლოს		0	0	0

ბალანსის დანართი ფორმა N 4-1
ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ

		უცხოურ ვალუტაში	ეროვნულ ვალუტაში	სულ თანხა ლარებში		
				გეგმიური	საკასო	ფაქტიური
1	გრანტის მთლიანი მოცულობა					
2	მ.შ მიღებული თანხა					
3	მ.შ სულ დამტკიცებული მოცულობა					
4	მ.შ უკანასკნელი ჩარიცხვა					

1	ნაშთი წლის დასაწყისისათვის					
2	მიმდინარე წლის მოცულობა					
3	სულ (1+2)					
4	ხარჯები					
5	შრომის ანაზღაურება					
6	საქონელი და მომსახურება					
7	პროცენტი					
8	სუბსიდიები					
9	გრანტები					
10	სოციალური უზრუნველყოფა					
11	სხვა ხარჯები					
12	არაფინანსური აქტივების ზრდა					
13	ფინანსური აქტივების ზრდა					
14	ვალდებულებების კლება					
15	სულ მიმდინარე წლის დამტკიცებული მოცულობა					

ბალანსის დანართი ფორმა N5

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

სტ რ. კო დი	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწ	მიღება							გასვლა													ნაშთი წლის პერიოდის ბოლოს
			შესყიდვ ით	იმავე დონის სახ.ერთ. უსასყ	გრა ნტე ბით	სხვა შემოს ავლე ბით	სხვა კვ- ნაკა დებ ით	საკუთა რი სახსრე ბით	დან აკლ ისი ს ალ დგე ნით	გაყ იდვ ით	იმავე დონის სახ.ერთ. უსასყ	ხელფ ასები სასაქ. ფორმ	სუბს იდრე ბით	გრან ტები თ	სოც .და ხმა რებ ით	დანაკ ლისი თ	სხვა ხარჯები თ	სხვა ეკნ აკა დებ ით	საკ უთ. სახს რ. კაპი ტ. შექმ ნა	ძირით. კაპიტ. მოხმარ	საქონ. და მომსახ.		
010	1. მატერიალური მარაგები	280351.3	544633.3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	547357	277627.67	
020	1.1. სტრატეგიული მარაგები																					0	
030	1.2. სხვა მატერიალური მარაგები	280351.3	544633.3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	547357	277627.67	
040	1.2.1. ნედლეული და მასალები																					0	
050	1.2.2 დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურება																					0	
060	1.2.3 მზა პროდუქცია																					0	
070	1.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი																					0	
080	1.2.5 ფულადი დოკუმენტები	8064.8	8030																		12158.6	3936.25	
090	1.2.6 სათანადარიგო ნაწილები	45361																				45361	
100	1.2.7 სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	226925.5	536603.3																		535198	228330.42	
110	2. ძირითადი აქტივები	7001105.5	2322360	2259524.5	0	0	0	0	0	0	1881052.7	0	0	0	0	0	1128140	0	0	220145	0	8353652.8	
120	2.1 შენობა-ნაგებობები	5470041	1840263	2228428.1	0	0	0	0	0	0	1670848.5	0	0	0	0	0	9600	0	0	174775	0	7683507.9	
130	2.1.1 საცხოვრებელი შენობები																					0	

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

140	2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	1132892	1563165	607946							1399425						9600			23079		1871898.7
150	2.1.3, საგზაო მაგისტრალები																					0
160	2.1.4 ქუჩები																					0
170	2.1.5 გზები	2318761																		73793		2244968
180	2.1.6 ხიდები	24585.27																		295.02		24290.25
190	2.1.7 გვირაბები																					0
200	2.1.8 გაყვანილობის სისტემები	333923.7																		5384.45		328539.25
210	2.1.9 სხვა ნაგებობები	1659879	277098.1	1620482.1							271423.53									72224		3213811.6
220	2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	523491.5	103256.5	31096.43	0	0	0	0	0	0	210204.21	0	0	0	0	0	0	0	0	45369.5	0	402270.73
230	2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	314143.8		29300							207620.99									24741.3		111081.53
240	2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	209347.7	103256.5	1796.43							2583.22									20628.2		291189.2
250	2.3 სხვა ძირითადი აქტივები	18363	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	18363
260	2.3.1 კულტივირებული აქტივები																					0
270	2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	18363																				18363
280	2.4 დაუმთავრებელი მშენებლობა	989210	378841														1118540					249511.26
290	3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	170548.6	73794	868.21							3029.96											242180.85
300	4. ფასეულობები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0

310	4.1. მვირფასი ქვეები და ლითონები																					0
320	4.2. ხელოვნების ნიმუშები																					0
330	4.3. სხვა ფასეულობები																					0
340	5. არაწარმოებული აქტივები	5159.08	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	5159.08
350	5.1 მიწა	5159.08																				5159.08
360	5.2 წიაღისეული																					0
370	5.3 სხვა ბუნებრივი აქტივები																					0
380	5.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები																					0

ბალანსის დანართი ფორმა N5-1

ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური
აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების შესახებ

	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	მოგება ფლობიდან	ზარალი ფლობიდან	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით ზრდა	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით კლება
010	ფინანსური აქტივები				
020	ვალუტა და დეპოზიტები				
030	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა				
040	სესხები				
050	აქციები და სხვა კაპიტალი				
060	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები				
070	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები				
080	სხვა დებიტორული დავალიანებები				
090	მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება				
100	ფინანსური ვალდებულებები				
110	ვალუტა და დეპოზიტები				
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა				
130	სესხები				
140	აქციები და სხვა კაპიტალი				
150	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები				
160	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები				
170	სხვა კრედიტორული დავალიანებები				

ბალანსის დანართი ფორმა N6

ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ

მაჩვენებელთა დასახელება	ბიუჯეტით		არასაბიუჯეტო სახსრებით		სულ	
	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები
1	2	3	4	5	6	7
სატრანსპორტო ერთეულთა საშუალო წლიური რაოდენობა სულ 17	78996	78996			78996	78996
მ.შ. მსუბუქი მანქანები სულ 14						
აქედან ა) პერსონალური სარგებლობის						
ბ) სამსახურებრივი მიმოსვლის 14	78996	78996			78996	78996
გ) ოპერატიული და სპეცდანიშნულების 3						